ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-09/შ/70

ქ. თბილისი

13 დეკემბერი 2016 წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ა(ა)იპ **„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახა აბულაძის** სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7, ს/კ 405155898, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, GE24NB0330100200165022

და მეორეს მხრივ **შპს „ნატალი 23“** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზვიადი კაჭარავას** სახით, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ., N 43, სართ. 2, ბინა N32; ს/კ 405116690, სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE70TB7981536080100005

---

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1 ხელშეკრულების საგანია 2016 წლის სახსრებით ერთჯერადი თეფშების, ჭიქების და კოვზების შესყიდვა (CPV 39200000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (ს') ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **40.00 (ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის სებ ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" ლოჯისტიკის მენეჯერი ვახტანგ ხაბეიშვილი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, საგარანტიო ვადები და პირობები მოცემულია დანართში N1.

3.2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს დანართ #1 ში გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.3. დანართი N1 მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

4.2. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული და დამონტაჟებული საქონლის რაოდენობის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

5.5.ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის 89/24.
5.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირია ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების" დირექტორი კახა აბულაძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.4. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 3 (სამი) დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5 დროულად განიხილოს "შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. გასაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის ტრანსპორტირებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

1.1. თუ ოიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს ოიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლითა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 0,1% ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1% ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან"; ერთი ეგზემპლარი „შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

2016 წლის 13 დეკემბრის #01-09/შ/70 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

#	დასახელება	CPV	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
1	ერთჯერადი პლასმასის ჭიქა	39222120	ცალი	200	0.08	16.00
2	პლასმასის კოვზი ერთჯერადი	39222110	ცალი	100	0.04	4.00
3	პლასმასის თეფში	39222110	ცალი	200	0.10	20.00
			სულ ჯამი:			40.00

„თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“

კახა აბულაძე

დირექტორი

შპს „ნატალი 23“

ზვიადი კაჭარავა

დირექტორი

ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“

ქ. თბილისი

13 დეკემბერი 2016 წელი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

შპს „ნატალი 23“

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე 8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების“ მიერ 2016 წლის 13 დეკემბერს გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე #01/09/შ/70 შპს „ნატალი 23“-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

დირექტორი:

1. ვახტანგ აბულაძე

შესყიდვების მენეჯერი:

2. დავით ძიწენიძე